

## არაფორმალური განათლების აღიარების წესი

1. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია, არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდეგში – მაძიებლისთვის), ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვით დასაქმების ხელშეწყობა.
2. არაფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და ამ წესის შესაბამისად, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, ასევე იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ნაწილში, რომელთა განხორციელების უფლება აკადემიას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

კოდი	დასახელება	დონე
02-0485	სკოლამდელი განათლება	უმაღლესი -5
09-0382	საექთნო საქმე	უმაღლესი-5
09-0381	ფარმაცია	უმაღლესი-5
04-1125	ლოგისტიკა	საშუალო- 4
06-0061	ინფორმაციის ტექნოლოგია	საბაზო- 3
04-1124	ფინანსები	საბაზო- 3
04-1123	ბუღალტრული აღრიცხვა	უმაღლესი-5
04-1122	ბუღალტრული აღრიცხვა	უმაღლესი-5
04-1121	ოფისის მენეჯერი	საშუალო- 4
10-0021	საბაჟო საქმე	უმაღლესი-5
10-0020	საბაჟო საქმე	უმაღლესი-5
09-0312	ფარმაცია	უმაღლესი- 5
09-0311	საექთნო საქმე	უმაღლესი- 5
02-0426	ლოგისტიკა	საშუალო- 4
02-0361	საბაჟო საქმე	უმაღლესი- 5
04-0902	ინფორმაციის ტექნოლოგია	საბაზო- 3
02-0358	ლოგისტიკა	საშუალო- 4
02-0357	საოფისე საქმე	საშუალო- 4
02-0356	ბუღალტრული აღრიცხვა	უმაღლესი- 5
02-0355	საბაჟო საქმე	უმაღლესი- 5
03-0019	სკოლამდელი აღზრდა	უმაღლესი- 5
02-0336	ფინანსები	საბაზო- 3
11-0247	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	უმაღლესი -5

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA-ის შიდა მარეგულირებელი აქტიდან - არაფორმალური განათლების აღიარების წესიდან ამონარიდს. დოკუმენტის მიკვლევადობის ნომერია - SBA-REG-052. დოკუმენტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ადმინისტრაციაში. ვებგვერდის ვერსია 2021.

მომზადება / გადამზადების პროფესიული პროგრამები

პროგრამა	ტიპი
საადმინისტრაციო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში	პროფესიული გადამზადება
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა	პროფესიული გადამზადება
სალაროს ოპერაციების განხორციელება	პროფესიული მომზადება
მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება	პროფესიული მომზადება
საბაჟო დეკლარირება	პროფესიული მომზადება
საწყობის ლოგისტიკა	პროფესიული მომზადება
საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ორგანიზება	პროფესიული მომზადება
კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება
ელექტრონული ბუღალტერია	პროფესიული მომზადება

**არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპები**

1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) განცხადის წარმოდგენა;
- ბ) კონსულტირება/დოკუმენტირება;
- გ) შეფასება;
- დ) გადაწყვეტილების მიღება.

**განაცხადის წარდგენა**

1. არაფორმალური განათლების აღიარების მაძიებელმა აკადემიას უნდა წარუდგინოს:

- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა, კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიით

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA-ის შიდა მარეგულირებელი აქტიდან - არაფორმალური განათლების აღიარების წესიდან ამონარიდს. დოკუმენტის მიკვლევადობის ნომერია - SBA-REG-052. დოკუმენტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ადმინისტრაციაში. ვებგვერდის ვერსია 2021.

პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობისა ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი, შრომითი ხელშეკრულება და ა.შ.).

დ) არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი;

ე) ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, აკადემიას უფლება აქვს, არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა ან/და ღირებულებების შესამოწმებლად

2. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემია უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების ან/და აღიარების დოკუმენტის წარმოდგენა. ასევე საზღვარგარეთ გაცემული ან უცხოენოვანი დოკუმენტები/სერტიფიკატების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

3. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ აღემატება 3 თვეს.

### კონსულტირების ეტაპი და დოკუმენტირება

1. მაძიებლის კონსულტირების მიზნით, აკადემია უზრუნველყოფს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული კონსულტანტის/კონსულტანტების (შემდეგში „კონსულტანტი“) გამოყოფას.

2. კონსულტანტი უზრუნველყოფს მაძიებლის კონსულტირებას:

ა) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

გ) არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ.

3. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და კომისიას წარუდგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.

### აღიარების კომისია

1. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება აღიარების კომისია.

2. კომისია სხდომებზე განიხილავს არაფორმალური განათლების აღიარების მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და კონსულტირების დოკუმენტებს, რის საფუძველზეც ადგენს სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობას.

3. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს:

ა) მაძიებლის ან/და კონსულტანტის ზეპირი მოსმენა/ინტერვიუება

ბ) დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა

გ) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარება

4. გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, ასაღიარებელი სწავლის შედეგის/შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას, გამოცდის ტიპის (ზეპირი,

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA-ის შიდა მარეგულირებელი აქტიდან - არაფორმალური განათლების აღიარების წესიდან ამონარიდს. დოკუმენტის მიკვლევადობის ნომერია - SBA-REG-052. დოკუმენტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ადმინისტრაციაში. ვებგვერდის ვერსია 2021.

წერილობითი, პრაქტიკული დავალების შესრულება/უნარების დემონსტრირება), გამოცდის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.

5. კომისია არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას

- ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;
- ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ;
- გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

### **არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურება**

3. არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე დაწესებულების მიერ მაძიებლის სახელზე გაიცემა:

- ა) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;
- ბ) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერ დადასტურების შემთხვევაში - ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
- გ) მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი.

### **არაფორმალური განათლების აღიარების საფასური და გადახდის წესი**

1. არაფორმალური განათლების აღიარების საფასური განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. საფასური მოიცავს:

- ა) კომისიის წევრებისა და კონსულტანტის ანაზღაურებას;
- ბ) აღიარების პროცედურის ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- გ) გამოცდის ადმინისტრირების ხარჯებს.

2. საფასური განცხადების წარდგენის და კონსულტირებისათვის, ასევე აღიარების კომისიის საქმიანობისათვის ფიქსირებულია და გადაიხდება განაცხადის წარდგენის ეტაპზე. საფასური გამოცდის ჩატარებისათვის გაიანგარიშება დასადასტურებელი სწავლის შედეგების ოდენობის შესაბამისად.

3. მაძიებელი ვალდებულია გამოცდის ორგანიზების საფასური გადაიხადოს გამოცდის ჩატარებამდე 5 სამუშაო დღით ადრე, წარდგენილი ინვოისის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით. აკადემიის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის/შეტანის გზით.

## ინფორმაცია სსსმ და შპმ პირებისთვის არაფორმალური განათლების აღიარებისას სერვისების შეთავაზების თავისებურებების შესახებ

1. აკადემია უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის შეთავაზებას სსსმპ (საბუთების მიღება, კონსულტირება, გასაუბრება/ტესტირება) მათ საჭიროებებზე მორგებას, მათი საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის შპმ პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, განაცხადთან ერთად დამატებით უნდა წარუდგინოს განცხადება შეზღუდვის თავისებურებების აღწერითა და შესაბამისი ინსტიტუციის/პირის მიერ გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი, იმისთვის რომ, აკადემიამ უზრუნველყოს შესაბამისი გარემო/პირობები.

### არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტები

N	სახელი გვარი	საკონტაქტო
1	ია ერაძე	032 240 34 40 (102) 599 975 772
2	თეა გელაძე	032 240 34 40 568 301 590
3	ნათელა ჩაჩუა	032 240 34 40 (111) 579 129 414
4	გიორგი გელეიშვილი	032 240 34 40 (109) 511 166 016

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA-ის შიდა მარეგულირებელი აქტიდან - არაფორმალური განათლების აღიარების წესიდან ამონარიდს. დოკუმენტის მიკვლევადობის ნომერია - SBA-REG-052. დოკუმენტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ადმინისტრაციაში. ვებგვერდის ვერსია 2021.